

რაგიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
24.04. 2003 წლის N 2107 -III დადგენილებით

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს
შორის საერთაშორისო საგზაო
გადაზიდვების შესახებ

საქართველო და ნიდერლანდების სამეფო შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი,

სურთ რა ხელი შეუწყონ, ურთიერთშორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტერესებიდან გამომდინარე, სამგზავრო და სატვირთო საგზაო გადაზიდვების განვითარებას თავიანთი ქვეყნებიდან და ქვეყნებისაკენ, და ასევე ტრანზიტად მათი ტერიტორიების გავლით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I
წოგადი დებულებები

მუხლი 1
სფერო

1. ამ შეთანხმების დებულებები ეხება საერთაშორისო სამგზავრო და სატვირთო საგზაო გადაზიდვებს ქირისა ან ანაზღაურების საფასურად, ასევე დამოუკიდებელ გადაზიდვებს (საკუთარი სახსრებით), საქართველოსა და ნიდერლანდების ტერიტორიებს შორის და ტრანზიტად მათი ტერიტორიების გავლით, მესამე ქვეყნებიდან ან მესამე ქვეყნებისაკენ, ასევე კაბოტაჟს, რომელიც ხორციელდება გადაზიდვების მიერ სატრანსპორტო საშუალებებით, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების მუხლი 2-ით.
2. წინამდებარე შეთანხმება არ გემოქმედებს ხელშემკვრელი მხარეების უფლებებსა და მოვალეობებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან.
3. ამ შეთანხმების გამოყენებამ არ უნდა ავნოს ნიდერლანდების სამეფოს, როგორც ევროგაერთიანების წევრი ქვეყნის მიერ, ევროგაერთიანების კანონმდებლობის გამოყენებას.

მუხლი 2
განსაზღვრებები

ამ შეთანხმების მიზნებისა და მისი დანერგვისათვის:

1. ტერმინი „სატრანსპორტო ოპერატორი – ნიშნავს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ნებისმიერ ფიზიკურსა თუ იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს მგზავრობისა და ტვირთების გადაზიდვას ქირით ან ანაზღაურების საფასურად ან დამოუკიდებელ გადაზიდვებს ეროვნული კანონმდებლობის იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო ოპერატორის პროფესიის მიღებისა და ბაზარზე შესვლის წესებს.
2. ტერმინი „სატრანსპორტო საშუალება“ ნიშნავს ავტოსატრანსპორტო საშუალებას:

*ცალკე აღებულს ან საგრანსპორტო საშუალებათა კომბინაციას;

*განკუთვნილს მგზავრებისა ან ტვირთების საგზაო გადაზიდვებისათვის, რომელიც იმყოფება საგრანსპორტო ოპერატორის განკარგვაში მისი საკუთრების სახით, ან ქირავნობისა ან ლიზინგის კონტრაქტის ძალით.

3. ტერმინი „საქალაქთაშორისო ავტობუსი“ – ნიშნავს საგრანსპორტო საშუალებას, რომელიც აგებულია და განკუთვნილია ცხრაზე მეტი მგზავრის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით.

4. ტერმინი „რეგისტრაცია“ – ნიშნავს კომპეტენტურ ორგანოების მიერ საგრანსპორტო საშუალებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მიკუთვნებას. საგრანსპორტო საშუალებათა კომბინაციის შემთხვევაში, ავტოსაგრანსპორტო საშუალება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს ნებართვების გაცემისას ან მათგან განთავისუფლებისას.

5. ტერმინი „დაფუძნების ქვეყანა“ – ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას, რომელზეც დაფუძნებულია საგრანსპორტო ოპერატორი და რეგისტრირებულია საგრანსპორტო საშუალება.

6. „ტერმინი „მასპინძელი ქვეყანა“ ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას, რომელზეც ეწევა საქმიანობას საგრანსპორტო საშუალება იქ რეგისტრაციისა და შესაბამისი საგრანსპორტო ოპერატორის იქ დაფუძნების გარეშე.

7. ტერმინი „გადაზიდვა“ ნიშნავს დატვირთული ან დაუტვირთავი საგრანსპორტო საშუალების მოძრაობას იმ შემთხვევის ჩათვლით, როცა საგრანსპორტო საშუალება, მისაბმელი ან ნახევარ-მისაბმელი რეისის მონაკვეთზე გადაზიდვა რკინიგზით ან საწყლოსნო გრანსპორტით.

8. ტერმინი „დამოუკიდებელი გადაზიდვა“ (გადაზიდვა საკუთარი სახსრებით) ნიშნავს მგზავრებისა და/ან ტვირთების გადაზიდვას საწარმოსა ან გაერთიანების მიერ, რომელიც გამომდინარეობს და განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

9. ტერმინი „ინტერმოდალური გადაზიდვები“ ნიშნავს ისეთი სატვირთო გადაზიდვებს, როდესაც საგრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნახევამისაბმელი, მოსასხსნელი ძარა ან კონტეინერი, საწვერით ან მის გარეშე, იყენებს საავტომობილო გზას მხოლოდ რეისის საწყის ან საბოლოო მონაკვეთზე, ხოლო რეისის დარჩენილ მონაკვეთზე გადაიგანება რკინიგზით, საწყლოსნო გზით ან ზღვით.

10. ტერმინი „რეგულარული სამგზავრო მომსახურება“ ნიშნავს მომსახურებას, როდესაც მგზავრების გადაყვანა ხდება განსაზღვრული მარშრუტით, განრიგის მიხედვით და დადგენილი ტარფებით. მგზავრების ჩასხდომა და გადმოსხდომა ხდება წინასწარ განსაზღვრულ გაჩერების ადგილებზე და მომსახურება მისაწვდომია ყველასათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა წინასწარი დაჯავშნა.

იმის და მიუხედავად თუ ვინ არის მომსახურების ორგანიზატორი, ტერმინი „რეგულარული სამგზავრო მომსახურება“ მოიცავს ასევე მომსახურებას, რომლის დროსაც ხდება მგზავრთა განსაზღვრული კატეგორიის გადაყვანა, მგზავრთა სხვა კატეგორიების გამორიცხვით, თუკი ეს მომსახურება აკმაყოფილებს ზემოთმოყვანილ კრიტერიუმებს, ასეთ მომსახურებას ეწოდება „სპეციალური რეგულარული მომსახურება“.

11. ტერმინი „არარეგულარული მომსახურება“ - ნიშნავს მომსახურებას, რომელიც არ აკმაყოფილებს რეგულარული სამგზავრო მომსახურების განმარტებას.

12. ტერმინი „კაბოტაჟი“ – ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განლაგებულ ორ პუნქტს შორის განხორციელებულ საგრანსპორტო ოპერაციას, საგრანსპორტო ოპერატორის მიერ, რომელიც დაფუძნებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, კაბოტაჟად არ ჩაითვლება გადაზიდვები საერთაშორისო კომბინირებული საგრანსპორტო ოპერაციების საწყის და საბოლოო მონაკვეთზე.

13. ტერმინი „ხელშემკვრელი მხარის ტერიტორია“ – ნიშნავს საქართველოს ტერიტორიასა და ნიდერლანდების სამეფო ტერიტორიის ევროპულ ნაწილს.

14. ტერმინი „კომპეტენტური ორგანო“ ნიშნავს :

საქართველოსათვის - ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს

ნიდერლანდების სამეფოსათვის – ტრანსპორტის, სამოგადობრივ სამუშაოთა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო.

ან, ორივე შემთხვევისათვის, პიროვნება ან ორგანო, რომელიც სათანადოდ უფლებამოსილია ბემოსხენებული სამინისტროების მიერ.

ნაწილი II

სამგზავრო გადაზიდვები

მუხლი 3

რეგულარული სამგზავრო მომსახურებები

1. რეგულარული სამგზავრო მომსახურებები, რომლებიც წარმოებს საქალაქთაშორისო ავტობუსით, ექვემდებარება ნებართვის სისტემას, რომლებიც გაიცემა მგზავრებისა და დანიშნულების, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – ტრანზიტის ქვეყნების, კომპეტენტური ორგანოების მიერ.

2. განაცხადი ნებართვის მისაღებად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოებს სატრანსპორტო ოპერატორის დაფუძნების ქვეყანაში. თუკი კომპეტენტური ორგანო დააკმაყოფილებს განაცხადს, მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ეცნობოს ნებართვის შესახებ.

მუხლი 14-ის ძალით ჩამოყალიბებული ერთობლივი კომიტეტი განსაზღვრავს ნებართვის მისაღებად საჭირო განაცხადის ფორმას, შეთანხმების პროცედურას და თანმხლებ სავალდებულო საბუთებს.

3. ნებართვები გაიცემა ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

ა) მიუხედავად კომპეტენტური ორგანოების მოსამზრებისა რეგულარული მომსახურების სასურველობის შესახებ, განაცხადი ნებართვის მიღებაზე შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ, მათ შორის

* არ არსებობს საპარტნიორო შეთანხმება;

* განმცხადებელს არ შეუძლია შეასრულოს გადაზიდვა, რომლის თაობაზეც მან შეიტანა განაცხადი ნებართვის მისაღებად, მის განკარგვაში იმუქმად არსებული სატრანსპორტო საშუალებებით;

* განმცხადებელმა წარსულში ვერ დააკმაყოფილა მგზავრთა საერთაშორისო საგზაო გადაზიდვის ნებართვით განსაზღვრული პირობები, ან სერიოზულად დაარღვია საგზაო უსაფრთხოების წესები, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებების სტანდარტებსა და მძღოლთა დასვენებისა და მანქანის მართვის პერიოდებთან დაკავშირებული წესებით;

* იმ შემთხვევაში, როცა შეგანილია განაცხადი ნებართვის გავრძელებაზე, ხოლო ნებართვით გათვალისწინებული პირობები არ არის დაკმაყოფილებული.

ბ) ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომპეტენტური ორგანოების მიერ განაცხადის სრული ფორმის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში. თუკი რომელიმე

კომპეტენციური ორგანო არ გასცემს პასუხს ამ პერიოდის განმავლობაში, ჩაითვლება, რომ ისინი უსიგყვოდ ეთანხმებიან ნებართვის გაცემას.

გ) ნებართვა ძალაშია არაუმეტეს ერთი წლისა და შეიძლება გაგრძელდეს მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაწყვეტილება საქმიანობის პირობების ცვლილებებისა და მომსახურების გაუქმების თაობაზე მიღებული უნდა იქნეს პროცედურის შესაბამისად, რომელიც გნსამზღვრულია პარაგრაფებით 2 და 3.

თუკი აღარ არსებობს მოთხოვნა მომსახურებაზე, ოპერატორს შეუძლია მისი გაუქმება, ამის თაობაზე ნებართვის გამცემი კომპეტენციური ორგანოებისა და მომხმარებლებისათვის წინასწარი შეტყობინების სამი კვირის თავზე.

მუხლი 4

არარეგულარული მომსახურება

1. საქალაქთაშორისო ავტობუსით წარმოებული არარეგულარული მომსახურებები არ ექვემდებარება ნებართვების სისტემას.

2. არარეგულარული მომსახურების განმავლობაში არ დაიშვება მგზავრების აყვანა ბორცვზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამაზე გაცემულია სპეციალური ნებართვა.

3. არარეგულარული მომსახურება უნდა წარმოებდეს საკონტროლო საბუთების თანხლებით, საკონტროლო საბუთების შინაარსი და გამოყენების პირობები განისაზღვრება მუხლი 14-ით მოხსენებული ერთობლივი კომიტეტის მიერ.

მუხლი 5

საერთო დებულებები სამგზავრო მომსახურებისათვის

1. საგრანსპორტო ნებართვები პერსონალურია და იკრძალება მათი გადაცემა სხვა საგრანსპორტო ოპერატორისა ან მესამე მხარისათვის.

2. კაბოტაჟი ნებადართულია მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ადგილობრივი მგზავრები, რომლებიც ორგანიზებულია მგზავრთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც ჩამოყვანილი იქნა ადგილზე იმავე საგრანსპორტო ოპერატორის მიერ, არ ჩაითვლება კაბოტაჟად, იმ შემთხვევაში, თუ ეს მგზავრები შეგანილია საგრანსპორტო ზედღებულში.

3. ნებართვები გაიცემა ადგილობრივ საგრანსპორტო ოპერატორზე კომპეტენციური ორგანოს, ან ამ ორგანოს მიერ დანიშნული დაწესებულების მიერ.

4. ნაწილი II –ის დებულებებიდან გამონაკლისის სახით, გადაზიდვების შემდეგი სახეობები თავსუფლდება ნებართვის მოთხოვნიდან.

- დაზიანებული ან მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალებების, ასევე დახმარების გამწვევი საგრანსპორტო საშუალებების გადაზიდვები;

- სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალების შესაცვლელად გაგზავნილი საგრანსპორტო საშუალების დაუგვირთავი გარბენები, ასევე მწყობრიდან გამოსული საგრანსპორტო საშუალების უკანა გარბენი შეკეთების შემდეგ;

- კომპეტენციური ორგანოების მიერ გაცემული საექსპორტო სარეგისტრაციო ნომრით აღჭურვილი ახლად შექმნილი საგრანსპორტო საშუალებების (ახალი ან მეორადი მოხმარების) პირველი გარბენი, თუ ეს გარბენი მიმართულია იმ ქვეყნისაკენ, სადაც უნდა მოხდეს ამ საგრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია.

ნაწილი III
სატვირთო გადაზიდვები

მუხლი 6
ნებართვების სისტემა

1. ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებულ სატრანსპორტო ოპერატორებს, ნებართვების სისტემის საფუძველზე შეუძლიათ განახორციელონ გადაზიდვები თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის ნებისმიერ პუნქტსა და მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნებისმიერ პუნქტს შორის, გრანზიტად მათი ტერიტორიების გავლით, და მესამე ქვეყნებიდან / მესამე ქვეყნებისაკენ.
2. კაბოგაჟი დაიშვება მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

მუხლი 7
განთავსულობა ნებართვის მოთხოვნისაგან

როგორც გამონაკლისი მუხლი 6-დან, გადაზიდვების შემდეგი სახეობები თავსუფლდება ნებართვის მოთხოვნისაგან.

- გადაზიდვები იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომელთა საერთო ნებადართული დატვირთული წონა (TPLW) მისაბმელის ჩათვლით, არ აღემატება 6 ტონას, ან როცა ნებადართული სასარგებლო ტვირთის წონა მისაბმელის ჩათვლით, არ აღემატება 3.5 ტონას.
 - არარეგულარული გადაზიდვები აეროპორტებიდან ან აეროპორტებისაკენ იმ შემთხვევაში, როცა ხდება საჰაერო მომსახურების გადამისამართება;
 - დაზიანებული ან მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვები, და ასევე დამხმარე სატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვები;
 - სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალების შესანაცვლებლად გაგზავნილი სატრანსპორტო საშუალების დაუტვირთავი გარბენები, და ასევე, მწყობრიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალების უკუგარბენი შეკეთების შემდეგ;
 - საოკეანო და სამდინარო გემებისა და საჰაერო ხომალდებისათვის სათადარიგო ნაწილებისა და სასურსათო მარაგების გადაზიდვები;
- სატვირთო გადაზიდვები განსაკუთრებული შემთხვევების, კერძოდ ბუნებრივი კატასტროფებისა და ჰუმანიტარული საჭიროებებიდან გამომდინარე;
- გამოფენებისა და ბაზრობებისათვის განკუთვნილი ხელოვნების საგნებისა და ნიმუშების გადაზიდვები არა-კომერციული მიზნით;
 - მოწყობილობების, აქსესუარებისა და ცხოველების გადაზიდვები თეატრალური, მუსიკალური, კინო, საცირკო და სპორტული წარმოდგენები, რადიო-ჩანაწერების, ტელე და კინო გადაღებებისათვის არა-კომერციული მიზნით;
 - კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული საექსპერტო სარეგისტრაციო ნომრით აღჭურვილი ახლად შეძენილი სატრანსპორტო საშუალებების (ახალი ან მეორადი მოხმარების) პირველი გარბენი, თუ ეს გარბენი მიმართულია იმ ქვეყნისაკენ, სადაც უნდა მოხდეს ამ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია;
 - სამგლოვიარო გადაზიდვები;
 - საფოსტო გადაზიდვები, რომლებიც აგარებენ საზოგადოებრივი მომსახურების ხასიათს.
2. მე-14 მუხლით მოხსენიებულ ერთობლივ კომიტეტს შეუძლია განავრცოს ან შეცვალოს წინა პარაგრაფში მოხსენიებული გადაზიდვათა სახეობების ნუსხა.

მუხლი 8

ნებართვის პირობები

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტური ორგანოები ცვლიან ნებართვების ბლანკების შეთანხმებულ რაოდენობას ყოველწლიურად ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მეორე ხელშემკვრელი მხარის მიერ გამოშვებულ იქნეს დამატებითი ნებართვები.

ნებართვები გაიცემა ადგილობრივ საგრანსპორტო ოპერატორზე კომპეტენტური ორგანოს ან ამ ორგანოს მიერ დანიშნული ორგანიზაციის მიერ.

2. ნებართვები პერსონალური და მათი გადაცემა სხვა საგრანსპორტო ოპერატორისა და მესამე მხარისათვის არ დაიშვება.

3. ნებართვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი საგრანსპორტო საშუალების მიერ ერთი ბრუნის შესასრულებლად. ნებართვები ძალაშია მომდევნო კალენდარული წლის 31 იანვრამდე. საგრანსპორტო საშუალებათა კომბინაციის შემთხვევაში, ნებართვის გაცემისას ან ნებართვისაგან განთავსუფლებისას განმსამზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ავტოსაგრანსპორტო საშუალება.

ნაწილი IV

ზოგადი დებულებები

მუხლი 9

ფისკალური საკითხები

1. საგრანსპორტო საშუალებები, მათი მარაგნაწილების ჩათვლით, რომლებიც ახორციელებენ გადაზიდვას ამ შეთანხმების შესაბამისად, ურთიერთგაცვლილი ნებართვების საფუძველზე, ურთიერთ-თავსუფლება მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა გადასახადისა და ბეგარისაგან, რომლითაც იბეგრება საგრანსპორტო საშუალებების ფლობა და მოძრაობა, ისევე როგორც ყველა სპეციალური გადასახადისა ან ბეგარისაგან საგრანსპორტო ოპერაციებზე.

2. ამ ხელშეკრულების ძალით განხორციელებული გადაზიდვები მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ექვემდებარება ფასიანი საგზაო ინფრასტრუქტურისა და ხიდების გამოყენებაზე მოსაკრებლებითა და გადასახადებით დაბეგვრას. ადგილობრივი და არა-ადგილობრივი საგრანსპორტო ოპერატორები მოსაკრებლებითა და გადასახადებით იბეგრებიან არა-დისკრიმინაციულად.

3. საწვავი, მოთავსებული საგრანსპორტო საშუალების სტანდარტულ, მწარმოებლის მიერ დამონტაჟებულ ავზებში, ისევე როგორც საცხები მასალები, რომლებიც იმყოფება საგრანსპორტო საშუალებაზე მხოლოდ და მხოლოდ ექსპლუატაციის საჭიროებებიდან გამომდინარე, ურთიერთ-თავსუფლება საიმპორტო ბეგარისა და ნებსმიერი სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან.

მუხლი 10

წონები და გაბარიტები

1. საგრანსპორტო საშუალებების წონები, ღერძული დაგვირთვის ჩათვლით, და გაბარიტები უნდა შეესაბამებოდეს საგრანსპორტო საშუალების ოფიციალურად რეგისტრირებულ მაჩვენებლებს და არ უნდა აჭარბებდეს მასპინძელ ქვეყანაში მოქმედ ზღვრებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმების დებულებების ძალით განხორციელებული საგრანსპორტო ოპერაციისას დაგვირთული ან დაუგვირთავი საგრანსპორტო საშუალების წონები და/ან

ვაბარიგები აჭარბებს მასპინძელ ქვეყანაში ნებადართულ ზღვრებს, აუცილებელია მასპინძელი ქვეყნის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა.

მუხლი 11

შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან

1. ხელშემკვრელი მხარეების საგრასპორტო ოპერატორები და მათი ეკიპაჟები მოვალენი არიან მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყოფნისას დაიცვან მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ: მრავალმხრივი შეთანხმებებიდან, რომლის მონაწილე მხარეებსაც ისინი წარმოადგენენ, წინამდებარე შეთანხმებებიდან; სხვა ორმხრივი შეთანხმებებიდან და ეროვნული კანონმდებლობიდან.
2. კაბოგაჟის შემთხვევაში ერთობლივმა კომიტეტმა უნდა შეადგინოს კანონებისა და წესების ნუსხა, რომლებიც გამოიყენება მასპინძელ ქვეყანაში.
3. ამ მუხლის 1 და 2 პარაგრაფებში მოხსენიებული კანონები და წესები მოქმედებს იგივე პირობებით, როგორც მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივი საგრასპორტო ოპერატორისათვის, რათა თავიდან იქნეს აუცილებელი დისკრიმინაცია ეროვნულობისა ან დაფუძნების ადგილის მიხედვით.

მუხლი 12

შესრულება

1. ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ნებართვები და სხვა საბუთები უნდა ინახებოდეს შესაბამისი საგრასპორტო საშუალების ბორგზე რეისის განმავლობაში და წარდგენილი უნდა იქნეს მაკონტროლებელი მოხელეებისათვის მოთხოვნისთანავე.
2. მუხლი 14-ით მოხსენიებული ერთობლივი კომიტეტი განსაზღვრავს საბუთს, რომელიც გაიცემა დაფუძნების ქვეყანაში იმის დასტურად, რომ საგრასპორტო ოპერატორი ეწევა დამოუკიდებელ გადაზიდვას.

მუხლი 13

დარღვევები და სანქციები

საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს ტერიტორიაზე დაფუძნებული საგრასპორტო ოპერატორის მიერ ამ შეთანხმების დებულების ნებსმიერი დარღვევის შემთხვევაში ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დარღვევა, საკუთარი საკანონმდებლო პროცედურებისათვის ზიანის მიუყენებლად, უნდა ?????????? (აკლია)

მ) ინტერმოდალური გადაზიდვების ხელშეწყობას, ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით.

მუხლი 15

ცვლილებები

წინამდებარე შეთანხმებაში ხელშემკვრელი მხარეების მიერ ურთიერთშეთანხმებით შეტანილი ნებსმიერი ცვლილება ძალაში შედის მომდევნო თვის პირველ დღეს იმ თარიღიდან, როცა ხელშემკვრელი მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მათ ქვეყნებში აუცილებელი კონსტიტუციური პროცედურების შესრულების თაობაზე.

მუხლი 16
ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. ეს შეთანხმება ძალაში შედის მომდევნო თვის პირველ დღეს იმ თარიღიდან, როცა ხელშემკვრელი მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მათ ქვეყნებში შეთანხმების ამოქმედებასთან დაკავშირებული აუცილებელი კონსტიტუციური პროცედურების შესრულების თაობაზე.

ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება ნებისმიერ დროს, მეორე ხელშემკვრელი მხარისათვის ექვსი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

რის დასტურადაც, ამაზე სათანადოდ უფლებამოსილმა ქვემოთ ხელისმომწერმა, ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

შესრულებულია 31 ოქტომბერს დღეს ქ. თბილისში, ორ-ორ პირად, ქართულ, ჰოლანდიურ და ინგლისურ ენებზე, თითოეული ტექსტი თანაბრად აუთენტიკურია, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ინგლისური ტექსტი იქნება გადამწვეტი.